



კუჩუი

1991
შ ა ბ ა თ ი
23
მ ა რ ტ ი
№35 11428
შ ა ი ნ 5 კ ა ა .

ფუნდის საორგანიზაციო-პოლიტიკური გაზეთი გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მატიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია მუშაობას განაგრძობს. 20 მარტს გაიმართა მისი მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე სკიად გამსახურდია.

დებუტატებმა ცვლილებანი და დამატებანი შეიტანეს საქართველოს რესპუბლიკის კანონში რეფერენდუმის შესახებ, განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც უკვე შედგება 1991 წლის 31 მარტს საერთო-რესპუბლიკური რეფერენდუმის მოწყობას, და მიიღეს შესაბამისი დადგენილება. კერძოდ, გადაწყვეტილია, ჯერ კიდევ 31 მარტამდე რეფერენდუმის საკითხზე ხმის მიცემის ნება დართონ მოქალაქეებს რომლებიც ამა თუ იმ მიზეზისა გამო დღეს არ იქნებიან რესპუბლიკაში, რეფერენდუმის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალოს უზრუნველყოს უპირობო კენჭისყრა და გამოიცხოს იმის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ ერთი და იგივე პირმა მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტ საარჩევნო უბანში, ანაბათს გათვალისწინოს ავს წინათ საერთო-საკავშირო რეფერენდუმის დროს დაშვებული უხეში დარღვევები.

სესიამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის სახალხო დებუტატთა არჩევნების № 869 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დებუტატის არჩევნების შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის რეფერენდუმის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებანი და დამატებანი შეტანის საკითხზე გამოვიდნენ უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანი გიორგი გულბანი და უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის კომისიის თავმჯდომარე გივი თაქთაქიშვილი. ამ საკითხის განხილვის დროს დებუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და შენიშვნების გათვალისწინებით უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი.

შემდეგ სიტყვა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ჯონი ხეტურიასს, რომელმაც დებუტატ-

ებს განახილვებდა წარუდგინა ნორმატიული აქტების პროექტების სთელი პაკეტი. განიხილეს და მიიღეს: უზენაესი საბჭოს დადგენილებები მოსამართლეთა და სასამართლოების მსაჯულთა ფიცის შესახებ, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის დებულების დამტკიცების შესახებ, მოსამართლეთა კონფერენციის მოწვევისა და ატარების წესის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევნების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის შესახებ; კანონი საქართველოს რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ, დადგენილებანი მსაჯულთა მიერ სასამართლო მოვალეობათა შესრულებაზე დაჯავშინებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოთა მოსამართლეებისთვის საკვალიფიკაციო კლასების დაწესების შესახებ, პირველი წაიხილეს მიღებული კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსისა და აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებანი და დამატებანი შეტანის შესახებ. დებუტატებმა აგრეთვე განიხილეს და მიიღეს კანონი სასახლის უმაღლესი ღონისძიების — ზოგიერთი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

უზენაესი საბჭოს მანდატებისა და დებუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანაძის წარდგინებით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეწყდეს, კანონის თანახმად, უფლებამოსილებანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებისა — გურამ ქაშაყავილისა, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას უთავსებდა სადემუტატო საქმიანობას, და გივი გუმბარაძისა, რომელიც პრაქტიკულად თვითონ ჩამოსცილდა დებუტატის მოვალეობათა შესრულებას.

სესიამ შეიდა ქართლში შექმნილი სიტუაციის გამო განცხადება გააკეთა დებუტატმა ამირან კალაძემ, ამავე პრობლემას უკავშირდება განცხადება, რომელიც უზენაესი საბჭოს წევრთა ჯგუფის სახელით გააკეთა დებუტატმა

ნოდარ ნათაძემ. გაიმართა აზრთა გამოხატვა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგარე საქმეთა მინისტრი დიპარ ხაბუაია, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, დებუტატები თამაზ გამყრელიძე, ლევანდ ტუხაშვილი, მუქვალა შანიძე, რომერტ პეტრიაშვილი, აპოლონი სილაგაძე, ალექსანდრე მუშაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბაქარ გიგინეიშვილი და სხვები. გაითვალისწინეს რა შიდა ქართლში შექმნილი უაღრესად დაძაბული სიტუაცია და ამაში ცენტრის უხამსი როლი, დებუტატებმა გადაწყვიტეს საპროტესტო ნოტა გაუგზავნონ სსრ კავშირის მთავრობას და მიიღონ მიმართვა მსოფლიოს საზოგადოებრიობისადმი. სესიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ძმთაშვილები კონფლიქტის მსხვერპლთა სსოფნას.

დებუტატებმა განიხილეს უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ნუგზარ მოლოდინაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტი კანონისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის შენობათა წინ პოლიტიკური აქტივობის ორგანიზაციისა და მოწყობის დადგენილი წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. სესიამ მიიღო ეს კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის გაუქმების შესახებ, მიღებულია გადაწყვეტილებანი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეების მოვალეობისაგან ბეგლარ მახარაშვილისა და ოთარ მელქაძის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრის მოვალეობისაგან ლუდვიგ ლურჯაიას განთავისუფლების შესახებ.

მატრიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და საბელწიფო რეზერვების მინისტრად დაინიშნა იგორ ჩხეიძე. სესიამ გამოვიდა ბელორუსიის სახალხო ფრონტის წარმომადგენელი ევგენი ნოიკოვი. აწით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა თანაგრძალა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ

გაითვალისწინა რა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადებები 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მონაწილეობისათვის ხელის შეწყობის მიზნით რეფერენდუმის დღეს საარჩევნო უბნებში კენჭისყრა მოეწყოს 7-დან 22 საათამდე. ამომრჩეველთა სიებში შეტანილ მოქალაქეებს, რომლებიც რაიმე ობიექტური მიზეზის გამო 31 მარტს არ იქნებიან საქართველოში, უფლება მიეცეთ წინასწარ მისცენ ხმა ა. წ. 23 მარტიდან 31 მარტამდე ნებისმიერ დღეს, 10-დან 19 საათამდე შესაბამისი ტერიტორიული (საოლქო, საქალაქო) საარჩევნო კომისიის მიერ მიითვებულ საარჩევნო უბანში.

2. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ა. წ. 22 მარტამდე შეიმუშაოს წინასწარ ხმის მიცემის წესი, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხმის მიცემის საიდუმლოება და გამოიცხოს ერთი და იმავე ამომრჩეველის მიერ ერთზე მეტ საარჩევნო უბანში ხმის მიცემის შესაძლებლობა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე უ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

სამაჩაგლო-ჩვენი სატკივარი

მძიმეა მოღალატის ხვედარი

არავის უკითხავს რა ეროვნებისა ხარო. შეიდა ქართლში დატრიალებული ტრაგედია გულს მიხანჯლავს. ოსი ექსტრემისტები კი არა, ჩემი თავიც შემშულდა. დიდზე დიდი ცოდვა დაიდეს ღმერთისა და ადამიანის წინაშე საქართველოს მიწაზე დახარბებულმა ოსებმა. არა, მათ არ შერჩებთ უღანაშაულო ქართველთა სისხლი. მე ერთი სამშობლო გამაჩნია — საქართველო, ნაწელიწადი მიფარავდა მისი კეთილი კალთა. და განა მარტო მე? ოსებო, განა ქართულმა მიწამ არ გვაწოვა ძძუ? ქართველების გარდა

სხვა ვინ ყოფილა ჩვენი ძმა და მეგობარი, ჩვენი ქირისა და ღობის უანგარო გამზიარებელი. რამ დაგაბრმავთ, რამ ავიხნათ გონება, განა არ იცით რომ სამაჩაგლო ოსეთი არ არის?! ალან ჩოჩიევი და მისი დამქაშები არა მხოლოდ ქართველი ერის, არამედ საკუთარი ოსი ხალხის მოღალატეები არიან. დალატი კი, მოგესვენებათ, ყველაზე უმძიმესი დანაშაულია. ქართველი ხალხი საკადრის პასუხს გაცემს მოღალატეს... გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! ღმერთი იყოს ჩვენი და საქართველოს მფარველი. მირი ვაღიშვილი.

საქართველომ უნდა იცვალოს პოლიტიკური იერ-სახე, ხოლო თვით ამ მოსახლე ხალხმა—ცხოვრების წესი, ამ დღეებს აღტერნატივა არა აქვს. საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესი არის ის ერთადერთი გზა, რომელმაც ჩვენი მრავალნატიანი ხალხი უკეთეს მერმისთან უნდა მიიყვანოს.

როცა ვსაუბრობთ საქართველოს ყოველმხრივი განახლების აუცილებლობაზე, ამის ქვეშ ვგულისხმობთ მოძრაობის, ქმედების სხვადასხვა მიმართულებას. ამის კვალდასახე, რა თქმა უნდა, გასაზრებელი საზოგადოებრივი ყოფის ნორმები ასევე უნდა იქნებოდეს. ამ წერილში შევეცდებით აქცენტების გაკეთებას ზოგიერთ მთავარზე.

პირველ რიგში უნდა მივხედოთ ეროვნულ ეკონომიკას. უშუალოდ უნდა დაჩქარდეს წარმოებისა და მართვის სფეროში წლებს წინ წამოწეული ახლებური სამეურნეო მექანიზმების ძიების პროცესი. არსებულ უშიშრობის პირობებში უნდა დავუპირისპიროთ ყოველი ძირითადი რგოლის, ინდივიდის დამოუკიდებლობისა და მატერიალური დაინტერესების გაუაროების გზების გაშლას. საბოლოოდ უნდა შევქმნათ ეკონომიკური უზრუნველყოფის პირობები რამაც მშენებლის საქმიანობა გააძვირებდა და ჩვენი ეკონომიკა ჩინში შეიყვანა. ჩვენს საწარმოებში ენერჯიულად წამოწყებულია სტრუქტურული

ცვლილებებმა უნდა შეიშალოს ნივთიერება პრივატიზაციაზე გადასვლისათვის.

ალბათ არავის არ აწყენს იმის შესახებ, რომ ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია ადამიანის ფაქტორის გარეშე. მასში

სპალინდელი და გვაკლებს

არ იგულისხმება მხოლოდ მწარმოებელი ძალა, არამედ იგი გახლავთ უმაღლესი მნიშვნელობის ფაქტორი ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოებისათვის. ამიტომაც ყოველ საწარმოსა და ორგანიზაციაში უნდა გახდეს სხვადასხვა რგოლის წინ წამოწევის, სამეურნეო ამოცანებისა და მუშაკების განწყობილებას შორის დიალექტიკური კავშირის განმტკიცება, სოციალური განვითარების ფორმირებას, საწარმოო ეთიკის და შრომის პუნქტიუალის საკითხის მოგვარებას.

საქართველოს თავზე ათას ქაჩისხალს გადაუდგია დაღწეული ცხოვრება არც ახლა გვაქვს კიდევ მეტი. სიმძიმეების საცდელი ყოველი მხრიდან გვიქმნის, უშიშროების წინაღობებს გვიქმნის. ავის მოსურნეებს ზურთ დავსუსტდეთ, გავანაგდეთ. ამიტომ ნებისმიერი კოლექტივი და პარტია უნდა გაუაყვებოდეს, მთელი არსებით უნდა ეძებდეს ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღების ოპტიმალურ გზებს. აქ

მნიშვნელოვანი რეცეპტების მიცემას ვერაფერს ვერ იღებს თავზე უფრო პრაქტიკულად უნდა გადავხედო ჩანაწერებს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ანტი-სოციალური კერების აღკვეთისათვის. დღითიდღე უნდა გავაათ

ამ მხრივ ინგლის, ახალსოფლის, ნარაზენის, ჩხორის, კახათის კოლმეურნეობებში, ზედაფერის მეურნეობაში, „საქპალადმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებაში, სარემონტო-მექანიკურ კომბინატში და ზოგიერთ სხვა კოლექტ

სხვა მიკრომედიუმი ქალაქის საწარმოებში და ორგანიზაციებში წესრიგში უნდა მოიყვანონ, იერსახე უცვლელად როგორც საკუთარ ენობებს, ისე მიმდებარე ტერიტორიებს. მოვუწოთ მინიჭებულ, დეკორატიული კუთხეები მწვენი ნარგავებში უნდა დაისადგუროს ყველგან, სადაც ეს შეუძლებელია. გაუთი იწყებს მომენტით ნაკარნახევ კამპანიად იგივეთ: „ჩვენს საერთო ოჯახს—მოსაწონს ესთეტიკური იერსახე“. ველით თქვენგან კეთილთაოსნობებს, ძვირფასო ზუგდამდეგობ!

ახლანდელ თაობას ღრმად აკისრა უღიანობის მისი—გამოძვრის საქართველოს განახლებით. მისი მუშაობის უზრუნველყოფის მრავალმხრივი სხეულები ჩვენ უნდა გავიაროთ თვითგანმარტვის გზა და ჩვენვე მოვუძღვროთ პასუხები კითხვებს: რა გვიშლის ხელს უფრო შევიყვართ საქმე და ერთმანეთი, როგორ შევძლოთ ერთ მუშად შეკება და აღამიანური კონტაქტების, კულტურისა და შეგნების იმდენადი ხრულყოფა, რომ ზუგდიდელებს ჩვენს წინ დაგროვილი პრობლემების დაძლევა გვეხადოს ხელს.

ხვალ და ზეგ ჩვენ ცივილიზებულიობის უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აღმოვჩნდეთ. ამას გვაკლებს დრო, ამას გვაკლებს ხვალანდელი, აღორძინებული საშრობლობა ინტერესები.

ახლა, ამ გაზაფხულის პირზე, უკლებლივ ყველა ზუგდიდელი მსახიბულად უნდა გაისარჯოს მშობლიური ქალაქის გამწვანება გამშვენიერებისათვის. განა გვიკადრება ასე უშინოდ გამოიყურებოდეს თუნდაც მდინარე ჩხოვრის სანაპირო, მაცხოვრის გორა,

ივში, ამდგვარ ქველმოქმედებას. მამულის მომავალ სიჭაბაღზე ფიქრით ნაკარნახევს, ყოველნაირად უნდა ვუკერძოთ მხარს გავითი ამ მხრივაც ამბობს თავის სიტყვას. დამკვიდრებულია რუმბრია: „ერთუფლება“. მაგრამ ჭიჭიერობით მას ნაკლები გამოხმარება აქვს. და ეს მეტად დასანანია. ჩვენ შევასწავოთ ყველას, იქნება ეს კოლექტივი, თუ ცალკეული პიროვნება, რომ წვევითა გაბედნიერების ფაქტს შევხმინონ კეთილშობილური ურთიერთობები. ახლადპირწინე ბულებს მივულოცოთ ლამაზი, ღირსსებადგარი მოვლენა თავის ცხოვრებაში.

ახლა, ამ გაზაფხულის პირზე, უკლებლივ ყველა ზუგდიდელი მსახიბულად უნდა გაისარჯოს მშობლიური ქალაქის გამწვანება გამშვენიერებისათვის. განა გვიკადრება ასე უშინოდ გამოიყურებოდეს თუნდაც მდინარე ჩხოვრის სანაპირო, მაცხოვრის გორა,

კეცოთ ზრუნვა და ძალიანმევა სასოლო წარმოებაში სხვადასხვა სახეობისა და შხამიმიკატების ხმარების წესებს უმეცრესი დაცვისათვის. მაქსიმალურად უნდა გავიაროთ ჩვენს ნიადაგებს და წყალსატევებს, ტყეებს და ნათესებს მომშხამვლილი ტოქსინები. ამ მხრივ გავითა „ოდიშმა“ და მრავალტირუანმა გამოცემებმა რადიკალურად უნდა გააძლიერონ პროპაგანდისტული საქმიანობა. „ოდიში“ კვლავაც განაგრძობს თემატური გვერდების მიცემას რუმბრიათ: ბანბაში—ბაბაძე—ნოთ ზუგდიდს მკოლოპიური საშრობობა.

ახლანდელ ვითარებაში სავანებო ხიმწვავით გვახსენებს თავს დემოკრატიული პრობლემა. ამ საკითხს უნდა ვმართავდეთ უფრო კომპეტენტურად, ვინც გუშინ და გუშინწინ, დაქორწინებას, ყოველი ახალი ოჯახის შექმნას სჭირდება მორალური მხარდაჭერა და ეკონომიკური წახალისება. კარგი ტრადიცია

აუცილებელი განმარტება

ამა წლის 23 თებერვლის ჯამეთ „ოდიში“ გამოქვეყნდა წერილი „დაბრუნდეს კეთილშობილი ტერიტორია“, რომელშიც მოყვანილი ზოგიერთი მოსაზრება მიუღებლად მიგვაჩნია და ამ დენად შევეცდებით მის კომენტარებს.

წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ 18 თებერვალს სოფელ ერგეტაში გახართულ ყრილობას ესწრებოდა მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტი. ყრილობამ განიხილა ორი საკითხი:

1. ერგეტის კეთილშობილი ტერიტორიის სოფლის მშრომელებისათვის დაბრუნების შესახებ.
2. მერაბ კოსტავას სახელობის მეგრული ჯიშის ცხენსაშენისათვის ტერიტორიის გამოყოფის შესახებ.

სინამდვილეში, ეს საკითხები სოფლის ყრილობაზე არ ყოფილა განხილული. მაგრამ პირველ პუნქტში მოცემული საკითხი—„ერგეტის კეთილშობილი ტერიტორიის სოფლის მშრომელებისათვის დაბრუნების შესახებ“—სწორია და მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. ერგეტის სახალხო ფრონტის გამგეობა წელიწადზე მეტია იბრძვის ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მკრან ერგეტის სახალხო ფრონტის გამგეობამ სხვადასხვა შეუძრებლობისა და საწარმო-დაწესებულებათა მეგრ მითვისებელი აუთულო ჰექტარი მიწა გაღასტა სოფლის მოსახლეობას, რომლის დაბრუნება შესაძლებელი იქნა ჩაიონის ხელშეწყობისათვის ბოლშევიკების გზით და იქვე იყო ნათქვამი, რომ დაჩვენილი

მიწებიც უნდა გადაეცემულიყო მის კანონიერ ბატონს—ერგეტის მოსახლეობას. მაგრამ ერგეტის სხ გამგეობამ თავი შეიკავა მიმდინარე საკრებულოს არჩევნების დამთავრებამდე. საკრებულოს არჩევნების შემდეგ ეს პრობლემა გადაწყდება ზუგდიდის პრეფექტთან მოლაპარაკებამეთანხმების გზით.

რაც შეეხება „მერაბ კოსტავას სახელობის მეგრული ჯიშის ცხენსაშენისათვის ტერიტორიის გამოყოფას“, სოფლის ხელმძღვანელების ეს მოსაზრება ერგეტის მოსახლეობისათვის სრულიად მიუღებელია. რადგან ერგეტის ტერიტორიაზე ამჟამად არის მეკამეჩობის მსხვილი ფერმა და იმავდროულად ცხენსაშენისათვის ასეული ჰექტარი მიწის უვადო გადაცემა, როგორც ეს სტატიაში მოხსენიებული, ყოველად შეუძლებელია. სოფლის მოსახლეობა დღესაც მწვედ განიდის საძოვრების ნაკლებობას და ამ პრობლემის გადაწყვეტა მოსახლეობისათვის დაბრუნებული მიწების ხარჯზე უნდა მოხდეს.

ერგეტის სახალხო ფრონტის გამგეობა, ეყრდნობა რა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნას, პროტესტს უცხადებს ერგეტის ტერიტორიაზე ცხენსაშენის დაარსების იდეას.

ერგეტის სახალხო ფრონტის გამგეობის სახელით ბმარნბი ძურსუა,

ომიკო მანბურია, ზუგდიდის რევიზიონალური სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი, საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია „აიეტის“ შტაბის უფროსი,

დღეს, როგორც ჩაიონის სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში, „კოლხიდაშიც“ შრომის არენდულმა ფორმამ ფართოდ მოიქცა ფეხი. ამის ცოცხალი მაგალითია ის, რომ ფორმდება ხელშეკრულებები მეარენდებსა და კოლმეურნეობას შორის. განზარალები გვაქვს პროდუქციის სახელმწიფო შეყვება გავანაწილოთ თითოეულ მეარენდულ რეალური პირობების გათვალისწინებით.

საღმისო საზრუნავი და ამოცანა გარკვეულია: დროულად, შემიძლირებულ ვადებში ჩავატაროთ საგაზაფხულო საშრობობები, რამე თუ გულზე ხელის დაკრეფა ვერავითარ სარგებლობას მოგვითანს. ჩვენი კოლმეურნეობა არ არის განვითარებული სახანავ-სათესი ფართობებით. სულ 70 ჰექტარზე ვაწარმოებ ხენა, სამარცხედ გამოყოფილი გვაქვს 24 ჰექტარი. შარშან შუა ლედური კულტურების სათვის ფართობთა ხარჯზე სმარცხედ ფართობებს დავუმატოთ 9 ჰექტარი.

ჩვენმა მექანიზატორებმა სახოლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი ჭერ კიდევ შემოღობიდანვე დაიწყეს. შრომის არენდულმა ფორმამ ბევრად წახაწია წინ ტექნიკის მოვლის საქმე ახლა მას უფროთხილდებიან რო

საღმისო საზრუნავი თანდათან ყველაფერს დაგძლევთ

გორც საკუთარს და სულ უფრო ხანგრძლივი ხდება მის ექსპლუატაციის დადგენილი ვადები. სხვადასხვა მარკის ტრაქტორებზე მუშაობენ მეარენდელები: ნოსრევან გორგაძე, ლუგარ ანთია, ბიკი დარასელია, დემურ ჭიქია, მეგონა დარასელია, რომლებმაც უზრუნველყვეს შვრიის 10 ჰექტარზე დათესვა, მრავალწლიანი ბალახებისა— ჰექტარზე, ამთავრებენ პირველ ხენას აწარმოებენ ვასხვლას.

ჩაის კულტურა ერთერთი წამყვანი და მომავლიანი დარგია კოლმეურნეობაში. 124 ჰექტარიდან მოსავლიანია 114, დღეისათვის ჩაის პლანტაციების გადახარვა-გაფხვიერება ჩატარებულია 80,5 ჰექტარზე. ფართობებში შეტანილია მინერალური სასუქები, მიმდინარეობს გასხვლა და იგი თვის ბოლოსათვის დამთავრდება. მექანიზატორ ლუგარ ანთიას ეს სამუშაო ჩატარებული აქვს 20 ჰექტარზე. კოლმეურნეობის ცხრავე საწარმოო ბრიგადა მთლიანად გადასულია შრომის ახალ მეთოდზე.

ერთი რამ ცხადია: დღევანდელ ეტაპზე წარმოებითი ურთიერთობის მხოლოდ ამ ფორმით თუ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის გააღიანება.

გვაქვს სხვა კულტურებიც: ციტრუსი, ვენახი, თუთა, მიმდინარეობს მათი დამუშავება. საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების პერიოდში თავს გვახსენებს რიგი მოსაგვარებელი საკითხებიც: გასამართი გვაქვს ფარდულეები, არ გავაჩინა სპირო მასალები, საფიქრალია მცირე მექანიზაციით მერე ფავთა ბედიც. არ გვაქვს საკმაო რაოდენობით საკრეფი აპარატები, მათი სათანადო რეპარირება, ისიც საკითხავია გვაქვს კი ელექტროენერგია 18 ჰექტარზე შეუფერებლად ვაწარმოოთ მექანიზებული კრეფა? მიუხედავად პრობლემებისა შრომაში გამოჩენილი სიმამაცით გონივრული თანდათან ყველაფერს დაგძლევთ.

ფ. კვარაცხელიანი, კოლხის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

უხვი მოსავლისათვის

ხელსაყრელ ამინდებს გონივრულად იყენებენ ოქტომბრის კოლმეურნეობის მშრომელები, აქ. დასასრულს უახლოვდება პლანტაციების გადახარვა-გაფხვიერება და სასუქების შეტანა.

მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა. ერთწლიანი კულტურებისათვის მოხულია 180 ჰექტარი. ნაყოფიერად მუშაობენ მექანიზატორები: ჯ. ცაავა, რ. გვისალ

ია, გ. ძაქამია, ვ. ფარცვანი, რ. ჩანგელია, უ. ქირია და სხვები; კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია სიმინდისა და სიონთესლით. მოიჭრები ყოველგვარი პრობლემი აქვთ შექმნილი მეტი ჩაის თუ მარცვლილის წარმოების გასაღილებლად. ა. შაშვინა,



განმარტოებული ქვეყანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

„ქვეყანა, ქვეყანა, ქვეყანა! ისინი უფლის სიტყვა“ (იერემია 22, 29).

ამას წინათ, ერთმა ჩემმა მეგობარმა, საუბარში, აღნიშნა—ჩვენ ისე სწრაფად ვკრინტიანდებით, თითქოს ანთი-თეისტებს ვეჭიბრებით და გვწინააღმდეგობა გვაწინააღმდეგობა. ამაზე მეტი დრო არ მოკალაოთ ამ საქმეს, რამდენი დროც მათ მოკალაოვს ჩვენს გაურკვევლობას, ბოლშევიკური, ჭიჭიური მეთოდებით ვებრძვირთ და ესაბოთ ურწმუნოების ყოველგვარ გამოვლინებას და „ცემტკიცებას“, როგორც ათეისტები, სარწმუნოების ყრბელვარ გამოვლინებას.

გახაზებია, თუ რა გულისტკივილი იგრძნობა ამ პიროვნების სევდანარევი ირონიის და ისიც ნათელია, თუ საით მივყავართ. რას ვიმეოთ და რა დამაღუბებლად ძვირი გვაქვდა „ქრისტიანობა“ ეს საბიჭროთა თამაში.

„ქართული ხალხი სულით და სწორად გაწმენილი ეგებება მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!“ მომესმა ამას წინათ ტელევიზორიდან. ვთქვით გულახდილად, ჩვენი ხალხის დღევანდელი სულიერი დონიდან გამომდინარე, არის კი რაიმე თვისობრივად დიდი განსხვავება ზემოთხსენებულ განცხადებასა და შეიძლება იმევე დოქტორის პირიდან ამ რამდენიმე წლის უკან წარმოთქმულ ფრაზას შორის? „ქართული ხალხი სულით მწველ და მაღალი შრომითი წარმატებებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს!“

...ნეტავი იმის მეტედა ძალისხმევით და წარმატებით მანც ხდებოდა ჩვენს სულში ათეისტური აღზრდასთან შერყვნილ გემშარტ ღრუბულდებოთ აღდგენის პროცესი, როგორც ეს ხდება ჩვენს გარეთ—ქუჩების, მოედნებისა თუ ქალაქების ძველ, მშობლიურ ხსენებასა და საბრუნებლად. ამ უკანასკნელი აქტის დმი გამოვლინა ენერჯია და ენთუზიაზმი თითოეულმა ჩვენთაგანმა თავის სულში უარყოფითი პირველყოფილი ზღაპარული საწყისების აღდგენას რომ მოახმაროს—ამ შინაგანი სიწმინდით ყველფერი გარგანავ წმიდა იქნებოდა, თუ ასე არ მოვიტყვევით. ფარისევლების მხარით ნათქვამი უფლის შემდეგ სიტყვები ჩვენც გვახსენებენ: „აი, თქვენდა, მწიგნობარო და ფარისევლო, თვალთმაქცო, რომელნიც გარედან წმინდთ სასმისსა თუ ჭაბს, შიგნით კი ხავენი არიან ნაძარცვითა და ნაობრით.“ (მათე 23).

დღევანდელ დღეს რწმენა უმრავლესობისათვის ნიღაბი გახდა, პრესტიჟის ამწვევი, როგორც ადრე, პირიქით. ურწმუნოება—ათეისტობა ემსახურებოდა იმავე მიზანს. ფორმა იცვლება—ადამიანის გახრწინება კი იგივე რჩება. „უნდოა ყველას გული და უჭურნებელი, ვინ შეიყნობს მას?“

—მე ვარ უფალი, გულთამხილვი და ზრახვათა გამოცნობელი, რაა თითოეულს მივაგო თავისი საქცილის მიხედვით, როგორც მისი მოქმედება ი-

სახურებს“ (იერემია 17,9). ჩვენ გადავარჩინეს და სულიერად აგვამაღლებს ბიბლიის, ქრისტიანული რელიგიის ღვთის გამოცხადებულებად აღიარებულ რეალიტატია კი არა, ვერც მათი შექმნისა და წარმოშობის ყოველმხომცველი ცოდნით გამოვლინება, ვერც ქრისტიანული დღესასწაულების ოფიციალურად აღდგენა თუ ქალაქის ქუჩებში ფარისევლებზე წმინდანთა სახელების მოხშირება—არამედ ჩვენ გადავარჩინეს პირად, ცოცხალი, გულიდან წამოსული რწმენა მაცხოვრის აღდგომისა—სულიწმიდით მოფენილი და არა მკვდარი, ვინებისმიერ და შეცნიერულ კვლევებზე აგებული რწმენის მაკეტი, რომლის ამოცნობის შესახებ გვაფრთხილებს უფალი ესაია წინასწარმეტყველის პირით: „მახლოვდება ეს ხალხი თავისი ენით, და მადიდებს თავისი ბავით, მაგრამ მისი გული შორსაა ჩემგან. ამოდ მადიდებენ, რადგან ასწავლიან ადამიანურ მოძღვრებებსა და მცნებებს“ (მათე 15,8-9).

ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ მხოლოდ რაც შეიძლება მეტი, ყოველმხრივი ცოდნა და განათლება უმაღლესი სათნობა, მხოლოდ ფაქტების, მოვლენების განსჯით, ლოგიკური დასკვნების გამოტანით აღქურვილი ადამიანი იყო გემშარტების შექმნებაში ერთადერთი კომპეტენტური, რეალური ძალა, სულიწმიდის მოქმედება ამ საქმეში უგულვებელყოფილიყო, რამდენადაც მისი არსებობა საერთოდ იყო უარყოფილი.

დღეს თითოეული ჩვენთაგანისათვის, მთელი ქართველი ხალხისათვის გადავარჩინის გზა დევს დაუყოვნებლივ გათავისუფლებაში ქართველი ერის რჩეულობით ტემპობის ბანვისაგან და დრმა სინანულის გზაზე შედგომასში. „რადგანაც ამბობ: მიდარი ვარ, გაგზადდარი, და არაფერი მჭირდებაო და არა კი იცი, რომ უბადრუკი ხარ და, საწყალობელი, გლახაკი, ბრმა და შიშველი“ (გამოცხადება 3,17).

ამბობ—მაგრამ არ კი იცოდა, ადამიანს ტრადეცია, რომ იგი თავის სულიერ სიღატაკეს ვერ განიცდის, პირიქით, ღვთისმოსეობაში წარმატებულადაც კი იმოქმედებს, „ამბობენ, რომ იციან ღმერთა, სიტყვით აღარებენ, ხალხი საქმით უარყოფენ ღმერთს. ბელნი, ურჩინი და ყოველი კეთილი საქმისათვის ურგებნი“ (აბტეს მამართ 1,16). თითოეულმა ჩვენთაგანმა ღმერთს უნდა ვთხოვოთ მოგვამადლოს ნიჭი საკუთარი ცოდვლიანობის დასახვა-განცდისა, რომლის გარეშეც ცოდვის არ ჩადენისავენ თუ შეჩვეული ცოდვისაგან თავსახსნელად მიმართული საკუთარი ძალისხმევა ამოა იქნება. ჩვენ ისეთიარად უნდა ვიქცეთ ჩვენს თვალში, როგორც ვართ ღვთის თვალში, ე. ი. რაც ვართ ნამდვილად—განძარცვული ყოველგვარ სათნობათაგან და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდენა ღვთისგან მონიჭებულ გემშარტ სათნობებით ავსება.

ამაზე უფროდების განხვილი-

ბა იმიტომ გვეპირდება, რომ ძალიან შორს არ გავიაცოს იმან, რომ აქაოდა საქართველო ღვთისმშობლის წილხედური ქვეყანაა, ღმერთი მხოლოდ იოს უკანასკნელ უამს ქართულ ენაზე განიკითხავსო კარვად გამოვით, თავად ამ ფაქტის აღიარებას კი არ ვთვლი საშიშ ტენდენციად იმდენად, რამდენადაც ამ უპირატესობით ტემპობის ტენდენციას, რომელსაც ჩვენისთანა, სულიერად დაუძლურებული ერი შეუძლია ისეთი საშიში უფსკრულიკენ გაქანოს, რომელ უფსკრულში გადაიქცა ბევრი ჩვენამდე და ჩვენს დროში მცხოვრები ხალხი რასობრივმა, შოვინისტურმა თუ კომუნისტურმა იდეოლოგიებმა. განა ის ფაქტი, რომ აბერ გუშინ ჩვენი კომუნისტური სახელმწიფო მთელი მსოფლიოს წინაშე უცოდველობისა და სიმართლის დროშას რომ აფრიალებდა, არ უნდა იყოს ჩვენთვის გქუის სასწავლი, რათა სხვათა წინაშე უპირატესობით ტრახახის ნაცვლად თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარ სულში მოძალბებულ სარეველებს ებრძოლოს, რომელიც უკვე უკლა-მდე მოგვწვდომია „ჩვენთან არს ღმერთის“ ძახილით ყელჩახრწილებს... ღვთის რჩეულობის უპირატესობით ამპარტვენებაში ჩავარდნილი ებრავი ხალხის მიმართ უფლის შეგონება ალბათ ჩვენთვისაც იქნება საჭირო და უფრადს უბი: „ნუ დაუნდობთ ცრუ სიტყვებს რომ ამბობენ: უფლის ტაძარია, უფლის ტაძარია, უფლის ტაძარია...“

...ქურდობთ, კაცის მკვლელობთ, ბოზობთ, ცრუდ იფიცავთ... მერე კი მოღიხართ ღვთის ბოთ ჩემს წინაშე ამ სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდება და ამბობთ, გადავრჩითო რათა კელავ აქეთოთ ყველა ეს სისაძაღვე.

ავაზაკების ბუნავი ხომ არ გგონიათ ეს სახლი, რომელიც ჩემი სხელით იწოდება? ამა, მეც ვხედავ, რომ ასეა, ამბობს უფალი“ (იერემია 7,1-11).

ჩვენ უნდა ვეცადოთ დავემკვიდროთ და გამოვჩინდეთ ღვთის წინაშე არა საკუთარი სიმართლით, საქმეებით, ვინაიდან „საქმეებით ვერ გამოვჩინდებ ვერცერთს, ნურც საკუთარი კეთილი ბუნების იმედი გვექნება, ვინაიდან, როგორც მაცხოვარი ამბობს: „რგინ არის კეთილი, გარდა ღმრთისს, ხოლო ესაია წინასწარმეტყველი ასე გავაშუქებს საკუთარი სიმართლის მომედებებს: „და ვიქმენიო არწმიდა ყოველნი, ვითარცა ძონძი დედაკაცისა წიდავისისა—ყოველი სიმართლე ჩუენი“ (ესაია 64,6).

—არამედ უნდა ვეცადოთ უფლის წინაშე წარვდეთ „არსითლით, რომელიც არს ჩრახტისაღნი რწმენისა და ღმერთისაგან რწმენის მეოხებით“.

არავის შეუძლია სხვას მისცეს

ის, რაც თავად არ გააჩნია. ურწმუნო, გულუხსუფთაო ადამიანს რაც არ უნდა მაღალი თანამდებობა, ავტორიტეტი თუ უნარ-ნიჭი გამოიყენოს, არ შეუძლია ისეთი ზემოქმედება მოახდინოს სხვაზე, რომ წმიდაყოს იგი.

პოლიტიკოს-იდეოლოგებს შეუძლიათ უკეთესი მომავლის იმედით გაბრუნებულ, ამ იმედის სინარულით აღტიენებული მანის აბორტება.

ფილოსოფოსებს შეუძლიათ სხვადასხვა მათობელა, ბედნიერების ილუზიაში განხვევი მოძღვრებით ხალხის დროებით გაბრუნება. პოეტებს, მწერლებს, ხელოვნებისა თუ სპორტის მუშაკებს შეუძლიათ წუთისოფლის ორომტრიალში უსაშველოდ დალილდაქანული ადამიანებისათვის დროებითი შეგების მოგვრა, როგორც სიცხიანი ავადმყოფის შუბლზე გრილი ტილოს დადება, ან შტორალა ბავშვისათვის მატყუარას პირში გაჩრა, ან მის გასაჩუქებლად რაიმე სასაცილო ტრიუკის გათამაშება.

მათი ყოველი ცდა ამოა და მიზანს ვერ აღწევს, ვინაიდან მიზანი კეთილი აქვთ, მაგრამ მიზნის მისაღწევი საშუალებანი, შესაძლებლობანი არ არის მათში; ადამიანის სულის გადაკეთებას კი არ ემსახურებიან, არამედ მათი კოსმეტით კაყოფილდებიან. ჩვენი სულის გემშარტი გამოკეთილშობილებით და ძალა უფალშია. „ნუ შეცდებით, ჩემო საყვარელო ძმანო; ყოველი კეთილი საბოძარი და ყოველი ნიჭი ზეგარდმო გადმო-სულია, ნათელთა მამისაგან...“ (იაკობი 1,16). იერემია წინასწარმეტყველი კი ხატოვანი სიტყვებით გვაფრთხილებს, რომ უფლის გარეშე ყოველგვარი პოტენციის ხარჭე სულიერი ზრდის მისაღწევად, არა თუ ამოა, არამედ ბოროტებაც, დანაშაულიც კია უფლის თვალში: „რადგან ორი დანაშაული ჩაიღინა ჩემმა ერმა: მიმართვეს მე, ცოცხალი წყაროს თვალი და ამოკვეთეს თავისთვის ქები, დანარეული ქები, წყალს რომ ვერ იკავებენ“ (იერემია 2,13).

მკვდრისათვის—ცოდვისაგან სულიერად მკვდარი ადამიანისათვის—სიცოცხლის მინიჭება მხოლოდ სულიერად ცოცხალს შეუძლია, და სულიერად ცოცხალი დედამწიფე მცხოვრებთაგან ერთ დერთი იყო—ესო ქრისტე და მის გვერდის ავლით ყოველი ცდა ადამიანში ჭანსლი სულის აღდგენისა—ამოა. „მე ვარ გზა, გემშარტება და სიცოცხლე; მამსთან ვერავინ მოვა თუ არა ჩემს შიერ“ (იოანე 14,6).

როდესაც ადამიანი თავისი გონებრივი, ფიზიკური შესაძლებლობებით იღვწის ერის ბედნიერებისათვის—ამით ის მისდაუნებურად ღმერთის ფუნქციას ითვიკებს, ასე იბრძოდა კომუნისტი იდეოლოგიც მთელი კაცობრიობის გაკეთილშობილებისათვის და ამ სურვილში „ლოკალისტ“ კარჩაკეტილ პატრიოტებსაც უსწრებდა.

მაგრამ როგორც ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რაც უფრო აწვავდებენ ადამიანი მო-

ყვანისადმი ბირად სიყვარულს და ცვლის მას უფრომო მასისადმი სიყვარულისა და თავდადების პრეტენზიით (ქალაქის, კუთხის, ერის, მთლიანად კაცობრიობის) მით უფრო ილუზიური, არსდაკარგული, ლოწუნგური ხდება იგი. ასეთი სურვილით (მასხადმი სიყვარულით) შეტყობილი ადამიანი შეიძლება ვამსგავსოთ იმ ამოად მომუშავე ადამიანს, რომელიც ამოად ცდილობს მთის სიმაღლეზე მშენებარე სახლისათვის მიძიე ქვის აზიდვას, თანაც ნიწნისმოგებით და დაცინვით უჭურებს მის გვერდით მაღლა სწრაფად აშავალ ადამიანებს, რომლებსაც წვირლ-წვირილი ქვები მარდად აქვთ სახლის ასაშენებლად..

ბრძოლა ერის კეთილდევობისათვის, გემშარტი კეთილდევობისათვის, რომელიც ბირაველ ყოვლისა მდგომარეობს მის სულიერ გაჭანსაღებაში უნდა დაიწოს არა ზოგადი მოწოდებებით და მთლიანი მანის ერთაშად მორჭულების სურვილით—ასეთი ბრძოლა უნდა დავიწყოთ თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავში ბოროტი საწყისების ჩაკვლით—ძველი კაცის ყოველდღიური ჭვარცხის და ახალის შემოსვით, რომელიც დაიწყოთ თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავში ბოროტი საწყისების ჩაკვლით—ძველი კაცის ყოველდღიური ჭვარცხის და ახალის შემოსვით, რომელიც დაიწყოთ თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავში ბოროტი საწყისების ჩაკვლით.

ასეთი გემშარტი ქრისტიანული რწმენით გაწმენილი, თუნდაც ერთი ადამიანის სულის „დარტყმით, დამანგრეველი“ ძალა სატანის მიერ ცალკეული ადამიანის და მთლიანად ერის გულში აგებული ბოროტების ბატალიებზე ათასწერ უფრო ქმედითი, დამანგრეველი იქნება, ვიდრე ერთად აღებული ათეულობით პოლიტიკური პარტის თუნდაც შეთანხმებული ძალისხმევა ამ საქმეში!

რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი მტერია ბოროტება, ცოდვა და არა ბოროტი, ცოდვილი ადამიანი და არსებობს ცოდვაზე გამარჯვების ერთადერთი იარაღი—სიმართლე, რომელიც გააჩნდა ჩვენს მაცხოვარს, ვინაიდან სატანა, ყოველი ბოროტების ფესვი, რომელიც არის „ქვეყნიერების მთავარი“, —ამ წუთისოფლის ღმერთი“, —არის სიცრუის მამა, როგორც მას მაცხოვარმა უწოდა და მისი დამარცხება შეძლო მხოლოდ ქრისტემ, ვინაიდან იგი იყო ის, „ვის ბავშვც არ იყო ზავა“ და ვის გულშიც ღვთის სწული იყო დაწერილი; და ჩვენც მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენში და ჩვენს ირგვლივ ბოროტების დამარცხებას, როცა შევიარადებით არა ბოროტი იარაღით, არა მოწოდებებითა და ლოწუნვებით, არამედ ღმერთის სრული საქურვლით. „რადგან ხორციელად რომ ვიარსებოთ, ხორციელადვე როდი ვიბრძვით“.

გურამ ითაიფორია, ქ. ზუგდიდის ე. ოგნული სკოლის ღვთისმეტყველების მასწავლებელი, (დასასრული მორიგ ნომერიში).

